№ 26
თებერვლის 1, შაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 26
თებერვლის 1, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია"
ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის-ძე მინგრელსკი აუწყებს ნათესავთა და პატივის-მცემელთ რომ ქ. პეტერბურგში 24 იანვარს გარდაცვალებულის ძვირფასის თვისის მამის

უგანათლებულესის თავადის
ნიკოლოოზ დავითის ძის მინგრელსკის

გვამი გადასვენებულ იქმნება ახალ-სენაკის სადგურზედ კვირას, 2 თებერვალს, საღამოჟამს, ხოლო იქიდან მეორე დღეს—მარტვილს, სადაც დაკრძალულ იქმნება სამეგრელოს მთავრების საგვარეულო სამარხში. დასაფლავება დანიშნულია ოთხშაბათს, 5 თებერვალს. სამგლოვიარო მატარებელი თითო საათს გაჩერდება შემდეგს სადგურებზედ: ტფილისს, გორს, რიონს, სამტრედიას. რიონის სადგურზედ მატარებელი მივა საღამოს 4 საათსა და 42 წუთზედ პეტერბურგის დროს მიხედვით. (4—6—3)

სამგლოვიარო მატარებელი
სამეგრელოს უგანათლებულეს თავადის ნიკოლოოზ დავითის ძის

გვამით მოვა ტფილისში 2 თებერვალს, კვირას, დილის 8 ს. 43 წ. (ტფილისის საათით) და ერთს საათს გაჩერდება. მატარებლის მოსვლის უმალ, სადგურზედ განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება პანაშვიდი. (2—25—2)

კვირას, 2 თებერვალს, დილის 8 საათზედ, ტფილისის ვოკზალზედ
უგან. თავ. ნიკოლოოზ დავ. მინგრელსკის
სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის ცხედრის წინაშე. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი აუწყებს ამას თავად-აზნაურთ და სთხოვს, მიცვალებულის ხსენების პატივისცემის მსურველთ, მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად. (1—6.—1)

კვირას, 2 თებერვალს, ტფილისის რკინის გზის სადგურზე გაატარებენ პეტერბურგში გარდაცვლილის უგანათლებულესის თავადის
ნიკოლოოზ დავითის ძის მინგრელსკის,
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრის გვამს.
საზოგადოების თავმჯდომარე აუწყებს ამას ბ.ბ. საზოგადოების წევრებს და უმორჩილესად სთხოვს, მობრძანდნენ კვირას 8 საათზედ ტფილისის სადგურზედ, სადაც გადახდილი იქნება პანაშვიდი.

№ 34. ტელეფონი № 617.
ქართული თეატრი
კვირას, 2 თებერვალს 1903 წ.
დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
[illegible]
დაკლებულ ფასებში
[illegible]
I
მტერ-მოყვარე ძმები
კომედია 4 მოქ. [illegible]
II
ორი მშიერი
ვოდევილი 1 მოქ. [illegible]
მონაწილეობენ: [illegible]
ბ-ნები: [illegible]
დასაწყისი დილის 12 საათზე.
ზსადღეზე წარმოსადგენად ვ. გუნიას სამეფისოდ („დარღვეული კერა" და „სიძე სიმამრი"). „მიკუნჭული ბედნიერება", „სტუმარი".
რეჟისორი ვალ. გუნია.
თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშში ნუ [illegible]

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება გაიხსნება 1-ლ თებერვალს [illegible] თავად-აზნაურთ, [illegible] ამასთანავე აუწყებს: 1, რომ, 10 ივნისის 1902 წ. უმაღლესად დამტკიცებულ დებულების [illegible] 2, რომ თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება გაიხსნება 2-ს მაისს. (3—3)

აბრეშუმის ჭიის თესლი
ხ. ს. ხრისტოდულიდისა.
ფირმა მისი არსებობს დიდის ხნიდგან და ცნობილია, როგორც საუკეთესო: საბერძნეთში, სათათრეთში, სპარსეთში და კავკასიაში, ყიდვა შეიძლება მხოლოდ 15 თიბათვამდე ბ-ნ ხ. ხრისტოდულიდთან: სასტუმრო „კავკაზ"-ში, № 14, სამშ. კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზ. კანცელარიაში და ფრანციულ კანტორაში, № 127 თამამშევის ქარვასლაში. (7—26—1)

პირველი სახალხო იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა და სამკითხველო (ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებისა), რომელიც მოთავსებულია არის კანცელარიის გვერდით, ყოველ დღე ღიაა: დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ხოლო კვირა-უქმე დღეს დილის 11—1 საათამდე, სადაც შეუძლიანთ მსურველთ ყოველთვის ისარგებლონ რუსულ-ქართულ ჟურნალ-გაზეთებით და ქართულ წიგნებით, როგორც იქ წაკითხვით, ისე სახლში წაღებითაც. (3—3—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ბრ. ვ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.
საღამოთი:
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი, 1 თებერვალი

„კვალის" უკანასკნელს ნომერში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი ყოვლად გასაოცარი სტრიქონები: „ასეთი თვით-მართველობა (ესე იგი შავი-ქვის მრეწველთა საბჭო და კრება) ნურამც ყოფილა, ამისი გაუქმებით ჩვენ არაფერს დავკარგავთ".

მხოლოდ ჩვენში შეუძლიან პირადს სიბრაზეს და ჯიბრს კაცი მიიყვანოს ამისთანა უკუღმართობამდის.

თქვე დალოცვილის შვილებო, ნუ თუ დაკარგვა არ იქნება, და დიდი დაკარგვაც, თუ ჩვენის საზოგადო საქმის მმართველად და გამგედ დაინიშნება რომელიმე მოხელე, რომელიც ჩვენ აღარაფერს გვკითხავს ჩვენს საკუთარს საქმეშიდა თავის ნებაზედ აწარმოებს. ნუ თუ დაკარგვა არ იქნება, როცა კრებანი მოისპობა და კრიტიკა აღიკრძალება? ნუ თუ არაფერს დავკარგავთ, თუ მრეწველთა საზოგადოება საკუთარს პროგრამას და გეგმას მოქმედებისას ვეღარ შეიმუშავებს, ვეღარ გამოესარჩლება თავისს მოსაზრებას და ვეღარ დაუწუნებს საქციელს გამგეს, თუნდაც სრულიად უკუღმართად მიჰყავდეს საქმე? ბოლოს, ნუ თუ დაკარგვა არ იქნება, როცა ჭიათურის მრეწველთა კრებული ჩავარდება სწორედ უსუსურის ბავშვის, ან შეშლილის მდგომარეობაში, რომლის საქმეებს განაგებს გარეშე ძალით დანიშნული აპეკუნი?

თუ ყველა ეს დაკარგვა არ არის, მაშ რაღას უნდა დავარქვათ დაკარგვა? არა, ბატონებო, ეს ნამდვილი დაკარგვა და დამარხვაა ცხოველ-მყოფელის პრინციპისა. მაგრამ, როგორც სჩანს, კვალელები მზად არიან ბ-ნ პალმთან ერთად გააუქმონ ჭიათურაში თვით-მართველობა, ოღონდ-კი ბ-ნ ზდანოვიჩის ჯავრი ამოიყარონ.

მაგრამ, განა გონიერი ადამიანი ისე იყრის პირადს ჯავრსა, რომ საქმესაც ავნოს და თავისს თავსაც! კვალელებიკი სწორედ ამგვარად იქცევიან. იგინი არა მარტო მოწინააღმდეგეთა უფლებასა სპობენ, არამედ სპობენ და ჰმარხავენ საკუთარს უფლებასა და მომავალსაცა. თუ დღეს ბ-ნი ზდანოვიჩია ჭიათურის საბჭოს თავმჯდომარედ, და ხვალეც იქნება, ზეგ შეიძლება მისი ადგილი დაიჭიროს რომელმამე კვალელმა და საქმე ისე აწარმოვოს, როგორც ჭკუა და გონება გაუჭრის. მაგრამ, თუ თვით-მართველობა მოისპო, მაშინ ხომ სხვებთან ერთად კვალელებიც დაჰკარგავენ უფლებასა და შეძლებას, ოდესმე მოექცნენ ამ საქმის სათავეში და საზოგადო საქმეს გაუწიონ ჯეროვანი სამსახური.

სწორედ სავსებით ამართლებენ ამ შემთხვევაში კვალელები ქართულს თქმულებასა: „მეც წავხდი, შენც წაგახდინე, მტერო, შენ გიხაროდესო".

დიაღ, დიდს განსაცდელში ჩააგდო თვით-მართველობა ჭიათურაში უკიდურესმა პარტიულმა ჭირმა და მტრობამ! ბ-ნი პალმი და კამპანია ამ შემთხვევას სავსებით გამოიყენებენ და ყოველ ღონის-ძიებას იხმარებენ, რათა ამართონ პოლიციური დროშა იქ, სადაც ეხლა ფრიალობს დროშა თვით-მართველობისა. ესენი მით უფრო გაბედვით იმოქმედებენ, რომ დარწმუნებულნი იქმნებიან კვალელების პასსიურს თანაგრძნობაზედ, თუნდაც ამ უკანასკნელებმა უარი უთხრან, აქტიურად ვერ დაგეხმარებითო. ბ-ნი ზდანოვიჩი იქმნება არჩეული, თუ თავადი ანდრია ერისთავი, პოლიციურ პრინციპის მიმდევარნი თავისას არ დაიშლიან და ჯიუტურად ეცდებიან ლელო გაიტანონ.

ამის გამო აქ თავის თავად იბადება ფრიად მძიმე საკითხი: ვის უფრო შეუძლიან მარჯვე წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ვაჟბატონებსა, ჩაშალოს მათი წადილი და დაიცვას ხელუხლებლად თვითმართველობის პრინციპი ჭიათურაში: ზდანოვიჩსა, თუ ერისთავსა? რომელს მათგანს უფრო მეტი ცოდნა, მეტი გამოცდილება, უნარი და გავლენა შესწევს?

ჩვენ თვითონ არ ვკისრულობთ ამის პასუხსა, და გადაწყვეტა ამ საქმისა მიგვინდვია თვით ამომრჩევლებისათვის. დეე, ყოველი ამომრჩეველი ღრმად ჩაუკვირდეს საქმის გარემოებასა, განიმსჭვალოს მხოლოდ საერთო სარგებლობის სურვილით, მიუდგომელად ასწონ-დასწონოს კანდიდატების ღირსებანი, და, რაც თვისმა გონებამ და სვინიდისმა ჩააგონოს, სწორედ ისე მოიქცეს. არც ერთს წამს ამომრჩევლებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ხვალინდელს არჩევანებზე სწყდება არა კანდიდატებისა, არამედ თვით-მართველობის ბედი და უბედობა ჭიათურაში.

უფრო კიდევ ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს თვითეული კანდიდატი საქმის გარემოებას, გაითვალისწინოს თავისი ღირსებანი და ნაკლულევანებანი, და, თუ ეჭვი დაებადოს თავის ძალისა და ღონის შესახებ, ცხადად სცნოს უპირატესობა თავის მოცილესი, ვაჟკაცურად დაუთმოს ამ ღირსეულს საბჭოს თავმჯდომარის ადგილი და ამოარჩევინოს ხმათა უდიდესის უმრავლესობით. ამისთანა უმრავლესობით ამორჩეულის თავმჯდომარეს უფრო მეტის გამარჯვებით შეუძლიან იბრძოლოს თვით-მართველობის პრინციპის დასაცველად.

## ტფილისი

✦ როგორც დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი დეპეშა გვაუწყებს, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეთ აუ-

რჩეულად გიორგი ზდანოვიჩი. ხოლო ოპოზიციის კანდიდატი თ. ანდრია ერისთავი გაუშავებიათ.

✦ ყველიერის კვირას, 16 თებერვალს, ტფილისის საკრებულო დარბაზში, ტფილისის უფასო სასადილოების სასარგებლოდ, გამართული იქნება სამუსიკო-სალიტერატურო საღამო, რომელსაც მოჰყვება ცეკვა.

✦ გზათა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ ყველა რკინის გზებზედ უმცროს მოხელეთა თანამდებობა, როგორათაც მეისრისა, დარაჯისა, ვაგონების გადამბმელისა, სადგურების მეთვალყურეებისა, მებუდკეებისა და სხვანი, ეძლეოდეთ ჯარში სალდათად ნამსახურთაო; უფრო-კი კავკასიის რკინის გზებზედ ეს თანამდებობანი ყოველ შემთხვევაში ეთმობოდეთ ზემოხსენებულ კაცთაო. ამის გამო, სამხედრო უწყებამ მიჰმართა ჯარის ნაწილების უფროსებს და სთხოვა, ყოველ-წლივ წარუდგინეთ ხოლმე რკინის გზების მმართველობას სია იმათი, რომელნიც ათავებენ სამხედრო ბეგრის ვადასაო.

✦ როგორც შევიტყეთ, ქუთაისის კერძო სამკურნალოს დირექტორი ექიმი ბ-ნი ს. თოფურია ძალიან შეუძლოდ გამხდარა.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ როსტოვიდგან ფირმა „Трудъ“-ისგან მიიღო ცნობა, რომ ამ ჟამათ შევიძინეთ კურსკის გუბერნიის საუკეთესო სათესლე კარტოფილი რომელიც ტფილისის სადგურზედ ეღირება, ფუთი 58 კაპიკათაო; კარტოფილი წითელის ფერისაა, მოსავალი მშვენიერი იცის და სინოყივრეც გაშორებით მომეტებული აქვს მანდაურ კარტოფილზედაო; ფირმა სთხოვს საზოგადოებას, თუ მემამულეებმა, ან მებაღეებმა ითხოვონ კარტოფილი სათესლე გთხოვთ ჩვენმიერ შეძენილი კარტოფილი ურჩიოთ თესლადაო.

✦ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში დანიშნულია კავკასიის განყოფილების რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც მოისმენს ინჟინერ ბუტენკოს მიერ დამზადებულს მოხსენებას „Наводненія въ низовьяхъ р. Терека, исторія борьбы съ ними и будущее вопроса“. კრება განიხილავს აგრეთვე საზოგადოების 1901 წლის მოქმედების ანგარიშს.

✦ თ. ზ. გ. ერისთავი უსასყიდლოდ უთმობს ტფილისის საბაღოსნო სკოლას, სოფ. კასპში თავის მამულს, რომ სკოლის შეგირდებმა საზაფხულოდ მის მამულში იმეცადინონ. თ. ზ. გ. ერისთავის განცხადება განიხილა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, სახელოსნო სკოლის გამგეს თანადასწრებით, და მიიღო თავადის წინადადება; ამასთანავე საბჭომ დაავალა სკოლის გამგეს ივანოვს დაათვალიეროს თავადის მამული და მასთან ერთად შეიმუშაოს ის პირობა, რა პირობითაც სურს თავადს დაუთმოს თავისი მამული საბაღოსნო სკოლას.

✦ ქალაქის საძოვარ მამულების მეთვალყურე კომისსიის თავმჯდომარედ დაინიშნა ინჟინერი ს. ზ. მირზოევი.

✦ ქალაქის ხორცის დუქნების და მამულების მეთვალყურე კომისსიას მოულაპარაკნიათ ერთმანეთ-შორის იმის შესახებ, რომ ზოგიერთა ქალაქის საძოვარი ადგილები ავლაბარსა და კუკიაში არ გაიცეს იჯარით, არამედ დარჩეს სათიბათ და ამ თივით გამოიკვებოს ქალაქის ხორცის დუქნებისათვის შეძენილი საკლავი საქონელი.

✦ ტფილისის საქალაქო საქმეთა საკრებულომ ერთხმად უარ-ჰყო 19 იანვარს ქალაქის საბჭოს დადგენილება, ქალაქის სკოლა კომიტეტის არსებობის შესახებ. საგუბერნიო საკრებულო დადგენილებით, ამიერიდგან უქმდება სკოლათა კომიტეტი.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სასურველად უცვნია საბაღოსნო სკოლასთან დაარსდეს საფუტკრე, სადაც სკოლის მოსწავლეებს შეეძლოთ პრაქტიკულად შეისწავლონ ფუტკრის მოვლა.

✦ ტფილისის სასტატისტიკო კომიტეტი ამ მოკლე ხანში შეუდგება ტფილისის გუბერნიის მიმოსვლის წარსულ წელში. ამისგამო კომიტეტის გამგეობას, ცნობათა შესაკრებად, სხვათა შორის, მიუმართავს ტფილისის პოლიცმეისტერისათვისაც და უთხოვნია, მოგვაწოდეთ ნამდვილი და დაწვრილებითი ცნობანი: რამდენი გასულა და მოსულა ტფილისს, რამდენი ხელოსანია, წლის განმავლობაში რამდენი მოკვდა ძალდატანებით, ან შემთხვევით, რამდენი სასწავლებელი იყო, რამდენი დაარსდა ახლად, რამდენი შეგირდი იყო სასწავლებლებში; რამდენჯერ გაჩნდა ცეცხლი სხვა-და-სხვა შენობებში, რა მიზეზით და რა ზარალი მოიტანა ცეცხლმა, რამდენი ფაბრიკა, ქარხანა მოქმედობდა და რამდენი მუშა იყო მომუშავეთ; რამდენისა დამზადდა მასალა ტფილისის ქარხნებში და რამდენი ღირდა ეს მასალაო.

✦ წირსულ შემოდგომაზედ ინჟინერმა ჩოლოყაშვილმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა განცხადება და მასთანავე პროექტი, რომლითაც კისრულობდა ტფილისის ქუჩებისა და მოედნების გაზით განათებას; ამასთანავე ჩოლოყაშვილმა წარუდგინა თავისი პირობანი; ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამავე დროს ქალაქის გამგეობას სხვა-და-სხვა ფირმებისაგან მოუვიდა წინადადებანი, ვიკისრებთ ქალაქის განათებასაო. იმ დროსვე მუშაობდა კომისია „ჰელიოსის“ პროექტის განსახილველად, მაგრამ ამ განხილვას ვერას გზით ვერა ეშველა-რა; რასაკვირველია, უპირატესობას ყველა ელექტრონით განათებას აძლევს; სამშაბათს, 4 თებერვალს, დანიშნულია შეერთებული კრება გამგეობისა, საფინანსო კომისიის წევრებისა და ხმოსან-ტეხნიკოსებისა, რომელთაც უნდა განიხილონ ინჟინერ ჩოლოყაშვილის მიერ წარდგენილი პროექტი.

✦ მომავალ კვირას, დილით, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში დანიშნულია საბავშვო წარმოდგენა.

✦ როგორც ისმის, მომავალ ზაფხულს ბაქოში მოწვეულ იქმნება პედაგოგთა კრება. კრებას დაესწრებიან ბაქო-დაღესტნის დირექციის სახალხო სკოლების მასწავლებელნი.

✦ ოზურგეთის მაზრაში, „ჩერნ. ვესტ.“ სიტყვით, სადაური ამბავი მომხდარა. ერთი ახალგაზრდა ქალი მისულა მღვდელთან და უთქვამს: აგერ სამჯერ გამომეცხადა სიზმარში წმ. გიორგი და მეუბნება, ჩემი ხატი ამა და ამ ადგილას იმყოფება და მოგკლავ, თუ არ განუცხადე ყველას და მიწიდგან არ ამოიღეთო. მღვდელს ეს ყველაფერი გამოუცხადებია სოფლელთათვის, რომელნიც მაშინვე წასულან დანიშნულ ადგილას და შესდგომიან მიწის თხრას. ექვსი დღე მიწას სთხრის 50 კაცი, მაგრამ ხატი-კი არსადა სჩანს. იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს, ვისიც ჯერ არს.

## ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

28 იანვარი (მეცხრამეტე სხდომა).

კრება დაიწყო 12 საათზე. ოქმი წაკითხვის შემდეგ დამტკიცდა.

ბ. სოლოვიოვმა (კავკასიის რკინის გზათა მმართველობას წარმომადგენელმა) წაიკითხა თავისი მოხსენება ვაგონებისა და ბაქნების განაწილების შესახებ.

იმ კომიტეტში, რომელმაც უნდა განაგოს ეს საქმე, სხვათაშორის, მონაწილეობა უნდა მიიღოს მრეწველთა 4 წარმომადგენელმა (მათგან ერთი მაინც გამზიდველი უნდა იქმნეს).

ვაგონების შესახებ მალე შესთანხმდნენ ყველანი, მხოლოდ ბაქნების განაწილებამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი.

აქამდე, ვისაც ბაქანი დასჭირდებოდა მადნის დასაწყობად, უნდა მიემართა კომიტეტისათვის, წარედგინა სამთა-მადნო ზედამხედველის მოწმობა, რომ იმას უმუშავნია და დაუმზადებია არა ნაკლებ 30,000 ფუთ მადნისა და, თუ აღმოჩნდებოდა თავისუფალი ბაქანი, მიიღებდა.

ბ. გ. ზდანოვიჩმა განაცხადა,—ბაქნების განაწილების დროს ბევრი უსამართლობა ხდებოდა ხოლმე, რადგან კომიტეტს დავალებული ჰქონდა სამთა-მადნო ზედამხედველის მოწმობით ეხელმძღვანელნა და ისე გაენაწილებინა ბაქნები, ხოლო ამ მოწმობათა 70% სრულიად მოკლებული იყო სიმართლეს; ამას, იმედია, ყოველი მრეწველი დაადასტურებსო. სწორეთ მოგახსენოთ, უხერხულად მიმაჩნია მომავალშიაც ისევ იმ მოწმობებს დავენდოთ და ისე გავანაწილოთ ხოლმე ვაგონები, თუ ბაქნებიო.

ბ. ბ. მესხიშვილი. არავისათვის საიდუმლოება არაა სამთა-მადნო ზედამხედველის ყოვლად შეუწყნარებელი საქციელი. სხვათაშორის, ისეთი მაგალითებიც ვიცი, რომ ზედამხედველი ქუთაისში ავადმყოფი იწვა და მოწმობებს-კი იძლეოდა, ამასა და ამას ამდენი და ამდენი მადანი აქვს შემუშავებულიო. ვაგონ-ბაქნების განმანაწილებელ კომიტეტს დანამდვილებითაც რომ სცოდნოდა,—წარდგენილი მოწმობა მოკლებულია სიმართლესაო, მაინც იძულებული იყო დაეთმო ბაქანი და სამაგიეროდ ისეთ მრეწველისათვის ეთქო უარი, რომელსაც მართლა სჭირდებოდა იგი. უეჭველად სხვა რაიმე საღსარი უნდა მოვნახოთ, თორემ მარტო კომისიას არ ძალუძს ბოლო მოუღოს ამ ბოროტმოქმედებას.

ბაქნების შესახებ კიდევ ის უნდა ვსთქვა, რომ ზოგიერთ მრეწველს რათა ხანია აუღია საუკეთესო ბაქნები, დაუზვავებია აუარებელი მადანი და აქვს გაჩერებული მთელის წლობით, რადგან მადნის გაზიდვა რამდენადმე შეჩერებულია ამ ჟამად, ხოლო მაღაროებში-კი სწარმოობს მუშაობა და ჭიათურაში დიდი სივიწროვეა ბაქნებისა. იმ ბაქნებს გარდა, რომლებიც აუვსიათ და უძრავათ აქვთ მთელის წლობით, მათი მეპატრონენი სხვა ბაქნებსაც იჭერენ; სხვები-კი იძულებულნი ხდებიან ან სულ უბაქნოდ დარჩნენ ან სადმე განაპირას აიღონ უხეირო ბაქანი, სადაც ჩალვადარი $1/4$ და $1/2$ კაპიკით მეტს ახდევინებს მრეწველს თითო ფუთზე, რადგან $1—1^{1}/_{2}$ ვერსით შორავს ბაქნების შუაგულს. მაგალითად, პირადად მე იძულებული ვიყავ შარშან ზაფხულზე $1/4$ კაპიკით მეტი მეძლია თითო ფუთზე ჩალვადრებისათვის, რამაც 1,600 მანეთამდე მიაღწია. ამ დროს-კი ზოგიერთ იმ მრეწველთაგანს, რომელთაც მთავარ ბაქნებზე უძრავად უწყვიათ აუარებელი მადანი, სხვა ბაქნებიც აეღოთ და ისე ჰქონდათ გაჩერებული ცალიერი, სავარაუდოდ. ისიც დანამდვილებით ვიცი, რომ ზოგნი კიდევაც ჰყიდდნენ ბაქნებს. ერთს მათგანს მე თვითონ ვაძლიე 500 მანეთამდე, მაგრამ არ დამითმო. ბატონებო, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ბოროტმოქმედებას. ჯერ ერთი ის, რომ ვაიძულოთ დანიშნულ ვადამდე უეჭველად განთავისუფლონ ხოლმე ბაქანი და მეორეც ის, რომ ბაქნები მხოლოდ იმათ ეძლეოდეთ, ვისაც მართლა ესაჭიროებათ.

ბ. სოლოვიოვი. ეს ბატონებო, მხოლოდ თქვენი საქმეა; როგორც თქვენ დაადგენთ, კომიტეტიც ისე მოიქცევა. რკინის გზის მმართველობას სრულიად არა ეკითხებარა ამ შემთხვევაში.

გაისმა ხმები: „ბაქანი უეჭველად უნდა დაეთმოს, არამც თუ 30,000 ფუთის მქონეს, 10,000 ფუთის მქონესაც. სრულიად არ გვინდა სამთა-მადნო ზედამხედველის მოწმობა, რადგან უმეტეს ნაწილად სიმართლეს მოკლებულია“.

ბ. გ. ემერიკი. აქ ლაპარაკი ჩამოაგდეს,—ზოგიერთს დიდი ხანია ბაქნებზედ უწყვია მადანი და ადგილიდგან აღარა სძრავსო; რადგან ვიწროობაა და თავისუფალ ბაქნების შოვნა მეტად გაჭირვებულია, ვაიძულოთ იგინი, რომ დანიშნულ ვადამდე უეჭველად გაზიდონ მადანი და გაანთავისუფლონ ბაქნებიო, მხოლოდ ერთი რამ ავიწყდებათ ამ აზრის მომხრეთ: თუ ჩვენ დაგვატანეს ძალა, რომ მალე გავზიდოთ ჩვენი მადანი, ჩვენს შემდეგ ჯერი იმათზე მიდგება,—მერმე იმათ დაატანენ ძალას და დააჩქარებენ; მაშასადამე ყველამ ძალა-უნებურად სჩქაროდ უნდა გავიტანოთ ჩვენი საქონელი ბაზარზე. ამას-კი შედეგად ის მოჰყვება, რომ მადნის მაზანდა კიდევ უფრო დაეცემა, მეტოქეობა გაჩნდება ურთ-ერთს შორის და, თუ დღეს მაგ. 8 პენსს იძლევიან ლონდონში, 6-ადაც აღარავინ მოჰკიდებს ხელსა. ამგვარად ჩვენც ჩავცვივით, მაგრამ ხეირი არც თქვენ დაგეყრებათ.

ბ. გ. ზდანოვიჩი. აქ ზოგიერთმა განაცხადა,—სულ არ გვინდა სამთა-მადნო ზედამხედველის მოწმობაო; მართლაც და, რა საჭიროა ეს მოწმობა, როცა იგი უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია სიმართლეს? სჯობს, სრულიად თავი დავანებოთ ამ მოწმობებსა და თვით კომისიას მივანდოთ საჭირო ცნობების შეკრება. მერწმუნეთ, ბატონებო, რომ ამ შემთხვევაში არავითარ ბოროტ-მოქმედებას აღარ ექმნება ადგილი.

ბ. გ. მაჩაბელი. რადგან კომიტეტს დავალებული აქვს, რომ თითო მრეწველს 4-დგან დაწყებული არა უმეტეს 10 საჟენისა მიეზომოს, და ეს გარემოება-კი მეტად აფერხებს საქმეს, უმჯობესია ეხლავ გადასწყვიტოს კრებამ რაოდენობა თითო ბაქნისა, თორემ მეტად უხერხულ მდგომარეობაში არიან მრეწველნი ამის გამო. მაგ., ვინც 4 საჟენიან ბაქანს იღებს, თუ სასწორის დადგმაც დასჭირდა, 2 საჟ. მეტი აღარ რჩება, რადგან 2 საჟენს სასწორი იჭერს. რაღა უნდა დასტიოს 2 საჟენზე კაცმა. მეტად მცირეა აგრეთვე 10 საჟ. მსხვილ მწარმოებელთათვის. მაგ. თ-დ პ. წულუკიძეს, მგონია, ოცდაათ სხვა-და-სხვა ბაქანზე უყრია მადანი, რადგან ერთბაშათ არსად მისცეს იმოდენა ბაქანი, რომ შესძლებოდა მოეთავსებინა ერთად თავისი მადანი. ამგვარად ნაწილ-ნაწილ გაბნევა მადნისა დიდი დაბრკოლებაა მრეწველისათვის. საჭიროა, კომიტეტს უფლება ჰქონდეს, რომ თითო მრეწველს მეტი ბაქანი მიუზომოს, რასაკვირველია, იმ ვარაუდით, რომ ამის გამო არც სხვას შეუშალოს ხელი, სრულიად უბაქნოდ არ დასტოვოს.

ბ. გ. ზდანოვიჩის ამ აზრს ემხრობა.

ბ. ბ. მესხიშვილი. ყოვლად შეუძლებელია, რომ ბაქნების განაწილების შესახებ განუსაზღვრელი უფლება მივანიჭოთ კომიტეტს. შეიძლება ერთს მწარმოებელს 100 საჟენი დასჭირდა ბაქნად და კიდეც მისცეს, მაგრამ რამდენიმე მრეწველი-კი სრულიად უბაქნოდ დარჩა. ამგვარ შემთხვევის თავიდგან ასაცილებლად უეჭველად უნდა დავასახელოთ maximum-ი.

ასტყდა ხმაურობა და თავმჯდომარემ 10 წამით შესწყვიტა კრება.

ბ. გ. ზდანოვიჩი. მე მიტომ მივეცი მხარი ბ-ნ მოდებაძის წინადადებას, რომ მეტი თავისუფლება ჰქონდეს კომიტეტს. აბა, რა საფიქრებელია, რომ კომიტეტი ერთს რომელსამე მრეწველს მისცემს 100 საჟენიან ბაქანსა და სხვებს-კი სრულიად უპატრონოდ დასტოვებს. კომიტეტს ყოველთვის ექმნება იმის ვარაუდი, თუ ვის რამდენი მადანი აქვს დამზადებული და ბაქნებსაც ისე გაანაწილებს, რომ შეძლების დაგვარად, ყველა დააკმაყოფილოს. ჩვენ რომ maximum-ი და minimum-ი დავადგინოთ, ამით მხოლოდ შევხუთავთ კომიტეტის მოქმედებას და საქმეს-კი ვერას ვარგებთ.

გადასწყდა, რომ კომიტეტმა თავის შეხედულობით გაანაწილოს ბაქნებიო.

ბ. სოლოვიოვი ტაშით დააჯილდოვეს.

შემდეგ ამისა ბ-ნმა გ. ზდანოვიჩმა წაიკითხა მოხსენება ქ. ქუთაისში ქიმიურ ლაბორატორიის დაარსების შესახებ.

მოხსენების ავტორმა ვრცლად განმარტა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ ლაბორატორიას მთელის მხარისათვის და განსაკუთრებით შავი-ქვის მრეწველთათვის, რადგან რიგიანი ანალიზი, როგორც მაჩვენებელი მადნის სიავ-კარგისა, უპირველეს საჭიროებას შეადგენს მათთვის. ასეთი ლაბორატორია დიდ სამსახურს გაუწევს აგრეთვე ჩვენს მეურნეობას იმავ ანალიზების წყალობით. ქალ. ქუთაისისათვის ხომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს იგი, რადგან ამ ჟამად მრავალი უვარგისი სულად-ხორაგეულობა საღდება ქალაქის მცხოვრებთა შორის და ამის გამო ვრცელდება სხვა-და-სხვა გვარი სნეულობა. ერთის სიტყვით, ყველასათვის ცხადია, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ამ საქმის განხორციელება.

თავდაპირველად იმან ჩაგვაგდო საგონებელში, რომ ხელ-მოკლედ ვიყავით, საკუთარს ძალ-ღონის ვერ შევბედავდით ამ საქმეს, მაგრამ სხვაც მოგვეშველა, და შეერთებულის ძალით როგორმე მოვახერხებთ სისრულეში მოვიყვანოთ ჩვენი განზრახვა.

როგორც მოგახსენეთ, ქ. ქუთაისსაც დიდად ესაჭიროებოდა ქიმიური ლაბორატორია, მაგრამ მარტოდ-მარტოს ვერც იმას გაებედნა შებმოდა ამ საქმეს.

ქალაქს საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან ყოველ წლიურად ეძლევა 10% წმინდა მოგებისა, რაიც დაახლოვებით 1,500 მანეთს შეადგენს; ამ ფულს სპეციალური დანიშნულება აქვს—ხელი შეუწყოს ქალაქის ტეხნიურ განვითარებას. დღემდე ეს ფული არაფერში არ იხარჯებოდა და შემდგარა უკვე 32,000 მანეთამდე. ქალაქის გამგეობამ აღგვითქვა,—თუ ლაბორატორიის დაარსებას გადასწყვეტთ, ადგილსაც დაგითმობთ, შენობასაც ჩვენის ხარჯით ავაგებთ და წლიურად კიდევ იმ 1,500 მანეთს მოგაშველებთ, რომელიც საურთიერთო ნდობის საზოგადოება გვაძლევსო. ამ გვარად ლაბორატორიისათვის უკვე უზრუნველ ყოფილია შენობა და ყოველ წლიურად 1,500 მანეთი, ჩვენ-კი უნდა შევიძინოთ საჭირო იარაღი და ვაძლიოთ მოსამსახურეებს ჯამაგირი.

რადგან სწორედ რომ ბედი გვეწვია ჩ ოდესის უნივერსიტეტის დამსახურებულმა პროფესორმა ბ-ნმა პეტრიაშვილმა ითავა გამგეობა მომავალ ლაბორატორიისა, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ იგი ერთი საუკეთესოთაგანი იქნება მთელს იმპერიაში, ვინაიდგან ბ-ნმა პეტრიაშვილმა დიდი ხანია მოიხვეჭა ცნობილ მსწავლულის სახელი მეცნიერებაში; და რაც უფრო საგულისხმოა ჩვენთვის, ბ. ვ. პეტრიაშვილი სწორედ ის პრაქტიკი—მეცნიერია, რომელსაც ჩვენ ვსაჭიროებთ: აგერ 30 წელიწადია, რაც ის ტეხნიურ ქიმიის ლექციებს კითხულობს ზემოხსენებულ უნივერსიტეტში. სწორედ ბედნიერმა შემთხვევამ მოგვივლინა ეს ჩვენის საქმისათვის ზედგამოჭრილი კაცი და ჩვენც უნდა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით.

ბ. ვ. პეტრიაშვილმა, ჩვენისავე თხოვნით, მოგვაწოდა გეგმა მომავალ ლაბორატორიისა; მაგრამ, რადგან არ უწყოდა ჩვენი შეძლება, სამგვარი გეგმა გამოგვიგზავნა: ერთი—სრულის ლაბორატორიისა, სადაც ყოველგვარ საჭირო მოწყობილობა იქნება და ყოველნაირ ანალიზის გაკეთება შეიძლება; ამ გეგმის განხორციელებას ერთ-ხანად 20,000 მანეთი დასჭირდება და წლიურად 11,000 მანათამდე. მეორე—საშუალო, რომელშიაც იშვიათ შემთხვევათა გარდა, სრული ანალიზების გაკეთება შეიძლება; დაჯდება ერთხანად 12,000 მანათამდე და წლიურ ხარჯს მოითხოვს 8,400 მანეთამდე. მესამე გეგმა შეიცავს ისეთს ლაბორატორიას, რომელშიაც მხოლოდ უსაჭიროესის ანალიზების გაკეთება შეიძლება; ერთბამად 8,000 მან დასჭირდება და წლიურად —6,500-მდე.

მომხსენებელმა დასძინა,—მართალია ხელმოკლედა ვართ, მაგრამ ეს ყოველის მხრით სასარგებლო საქმე ისე სარფად გვიჯდება და ისეთი მარჯვე შემთხვევაც გვეძლევა, რომ განსაკუთრებულის სიამოვნებით ეხლავე უნდა მივყოთ ხელი და განვახორციელოთო (ხანგრძლივი ტაში).

თავ. პ. წულუკიძე. ერთი მიბრძანეთ, არა გაქვთ გამოანგარიშებული, რა უნდა მოგვცეს წლიურად ლაბორატორიამ?

ბ-ნი ზდანოვიჩი. მაგის დანამდვილებით თქმა შეუძლებელია; ეგ სავარაუდო საქმეა. პირველ 2—3 წელიწადს, სანამ ხალხი თანდათან არ შეეჩვევა ამ დაწესებულებას, თითქმის არავითარ გარეშე შემოსავალს არ უნდა მოველოდდეთ, გარდა იმისა, რაც თვით ქალაქისაგან და ჭიათურის მრეწველთაგან არ შემოგვივა ანალიზების გასაკეთებლად.

ბ-ნი ემერიკი. რასაკვირველია, ვერავინ იტყვის, რომ ქიმიური ლაბორატორია მეტად საჭირო არ იყოს, როგორც თვით ქუთაისისათვის, ისე მთელის მხარესათვის, მაგრამ მეტი გატაცება იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ ამ ლაბორატორიაზე რაღაც განსაკუთრებული იმედები დავამყაროთ. ჩვენ—ჭიათურის მრეწველებმა, ის მოსაზრება, ვითომ აქვე გაკეთებული ანალიზი მადნისა რამდენადმე მაინც შეგვიმცირებს იმ ხარჯებს, რომელიც საზღვარ-გარედ მოგვდის ანალიზებისათვის, ჩემის აზრით, არა პატივ-საცემია: ჩვენ მადნის მუშტარს ერთხელვე აურჩევია რომელიმე ლაბორატორია, შესჩვევია მას და იმდენად ერწმუნება, რომ ყოვლად შეუძლებელია ვისამე სხვის ანალიზს დაენდოს. პრ. პეტრიაშვილის სახელი, რასაკვირველია, თავმდებია იმისა, რომ ყოველი ანალიზი ჩვენს ლაბორატორიაში ყოვლად უნაკლულოდ იქნება გაკეთებული, შეიძლება უკედაც, ვიდრე ჩვენს მუშტართაგან არჩეულ ლაბორატორიებში, მაგრამ ვაჭრობის საქმე იმგვარია, რომ თუ ერთხელვე დაენდო ვისმე, იშვიათად უღალატებს. ასე რომ, რამდენჯერაც და როგორაც არ უნდა გავუკეთოთ გასაზიდ მადანს აქ ანალიზი, იქ—საზღვარ-გარედ ყურსაც არავინ ათხოვებს; მაინც თავის ლაბორატორიებზე მიგვითითებენ,—აი, აქ გააკეთებინეთ ანალიზი და მაშინ დაგიჯეროთო. ამგვარად, ჩვენს ვაჭრობას სრულიად ვერას შესძენს მომავალი ლაბორატორია. გარდა ამისა, ბ-ნმა გ. ზდანოვიჩმა მეტად ბევრი იანგარიშა,—საზღვარ-გარედ გატანილ მადნის ანალიზი წლიურად 70—100 ათას მანეთამდე ჯდება საშუალოდ ყოველ წლობითაო. ჩემის ვარაუდით, 30,000 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

ყოველ შემთხვევაში სულით და გულით თანავუგრძნობ ამ კეთილს საქმეს, მხოლოდ მომავალ ხარჯთ-აღრიცხვამდე ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დავადგებით. ნუ დავივიწყებთ-კი, რომ უპირველეს ყოვლისა უფრო საჭირო მოთხოვნილებანი—მაგ. მუშათა სადგომები, გზები და სხ. უნდა დავაკმაყოფილოთ და შემდეგ, თუ რამე გადაგვრჩა, ლაბორატორიისათვის გადავდოთ.

ბ. გ. ზდანოვიჩი. მე ვსთქვი, რომ გაზიდულ მადნის ანალიზი 70—100 ათასი მანეთამდე გვიჯდება-თქო; შეიძლება ეს რიცხვი გადაჭარბებული იყოს; ვერავის შევეცილები, მხოლოდ არც ისე მცირეა, როგორც ბ. ემერიკი ბრძანებს; თითო გემზედ რომ 500 მან. ვიანგარიშოთ (როგორც ეხლა ხდება ხოლმე), მაინც 75,000 მ. შეადგენს, რადგან ორთაშუა რიცხვით 150 გემი მადანი იგზავნება საზღვარ-გარედ ყოველ წლობით. ასე რომ, თუ მეტი არა, 50—70 ათას მანეთამდე მაინც იხარჯება ანალიზში.

ბ. ემერიკი ბრძანებს,—საზღვარ-გარეთ თავიანთ ლაბორატორიებს არიან შეჩვეულნი და ჩვენსას ყურსაც არავინ ათხოვებსო. გადაჭრით ლაპარაკიც კარგია, მაგრამ არც ზოგიერთ საგულისხმო მაგალითებს უნდა ვივიწყებდეთ. როდესაც პირველად დავძარი სიტყვა იმის შესახებ, რომ შევეცადოთ, იქნებ მყიდველებმა თავის თავზე მიიღონ ნახევარი მაინც იმ ზედ-მეტ სიმძიმისა, რომელსაც სინესტის გამო იძლევა მადანი წონის დროსა,—ექსპორტიორებმა სიტყვა პირში გამაწყვეტინეს, სასაცილოდ ამიგდეს—ნეტავ ერთი, არ ეცდებოდეთო. მაგრამ ვეცადეთ და კიდეც მივაღწიეთ ჩვენს საწადელს. მართალია საზღვარგარედ თავიანთ ლაბორატორიებს არიან შეჩვეულნი, მაგრამ ჩვენ მაინც აქტიურად უნდა ჩავერიოთ ამ საქმეში. ცდა ბედის მონახევარეა.

სხვას თუ არა, იმას ხომ მაინც მივაღწევთ, რომ მეტის სიფრთხილით მოგვეკიდებიან. ეხლა არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი და იგივე მადანი სულ სხვა-და-სხვა ღირსებისა გამოდის, იმისდა მიხედვით, თუ ვინ აკეთებიებს ანალიზს,—მყიდველი, თუ გამყიდველი. ამგვარ შემთხვევებს ხომ მაინც აღარ ექმნება ადგილი! გარდა ამისა, განა მცირე მნიშვნელობა აქვს, როცა პატრონს აქვე ეცოდინება, რასა გზავნის

განასკიდდა, ან რას უნდა მოელოდეს თავის საქონლისაგან?

[illegible]

კრება 3 საათზე შეწყდა 10 წუთით.

[illegible]

კრება 4 საათზე დაიხურა.

## ერეკლე მეფე და მისი წერილები [1])

### V

მდივნიანთ ოჯახის მეთაური გორჯასპი მდივანი იყო ზოგიერთა თუმანიშვილი არ დაემორჩილა სპარსთა უფლებასა და მდივანს გორჯასპის წინააღმდეგნი გაუხდნენ—სურსათის გადასახადში უარი უთხრეს. მაგრამ სპარსეთის ხანმა ხანჯალ-ხანმა და ვექილმა ალიყული-ბეგმა გორჯასპისა და მისს მომხრეებს გადაახდევინეს შეწერილი სურსათი. მართალია პირველში გაუჭირდა საქმე გორჯასპის, მაგრამ ბოლოს ოსტატურად ჩაითრია ხელთ უბნელი გლეხ-კაცნი (რასაკვირველია სომეხნი) და თავის სახლის კაცნი და ანგარიში სრულიად გაისწორა ამ ნაირათ: № 28. „ჩვენს: ანარიში: ამ წელს იყო ქვ͞ს უვთ (1741 წ.). ქ. იუნთიდის წლის მალუჯათის ანგარიში ჩვენ თუმანისშვილებს სურსათი გვთხოვეს და სულ ქართლს რამდონიც თუმანი მალუჯათი გვეწერა, თუმანზე ხუთი ხარვარი ქერი და პური გამოგვართვეს; ჩვენი ასლი მალუჯათი იყო ოც-და-ორი თუმანი, ამისი ხარვარი ორ მინალთუნად რომ პური და ქერი გამოგვართვეს, იქს ხარვარს (რი) ას ათს [2]), რომ ერთი ხარვარი ას ლიტრას ქვიან; რაც ვიშოვეთ პური და ქერი მივეცით და რაც პური და ქერი ვერ ვიშოვეთ, ხარვარზე შვიდი მინალთუნი თეთრი გამოგვართვეს, ქერისა და პურის ფასი ორივ სწორეთ აიღეს. ეს სათხოვარი როგორც სახელდობით სწერია, ასე მიგვიცია და ბატონისა, თუ გლეხისა—ეს არის: ქ. პატარკაციმ მისცა თავისი წილის მალუჯათისა ხარვარი ᲘᲡ, ლიტრა ᲛᲔ; ქ. მელიქმა აღამ თავისი წილი ხარვარი ᲘᲓ; ქ. დემეტრემ თავისი წილი ხარვარი Ს, ლიტრა ᲝᲔ; ქ. გორჯასპიმ—ხარვარი Ვ, ლიტრა ᲝᲔ და სხ.

...ქ. რაც თავის თავის კერძი მალუჯათი ეწერა, იმას გარდა სხვა თუმანიშვილების მალუჯათი რაც აკლდა, ჩვენ დაგვიჭირეს და გამოგვართვეს, ჩვენს წილზე მეტი სხვა ჩვენის განყოფილების გულისათვის, რომ მაგიერი ვისაც განაყოფს არ მიუცია და აკლია, ეს იმან უნდა მოგვცეს რა ; ამას ქვეით სწერია ჩვენს წილზე მეტი მინაცემი ეს არის და მაგიერი უნდა მოგვეცეს: ქ. გორჯასპის მიუცია თავის წილზე მეტი შვიდ თუმან ნახევარი და ოთხი აბაზი ქ. ლიპარიტის შვილს გიორგის მიუცია—თერთმეტი მანეთი და ოთხი აბაზი და სხ.“ აქ საყურადღებოა გორჯასპის ხითაში გაბმა: საცოდავი ხარვარს თითონ ორ მანათად აძლევს სპარსელებს და დანაკლისს ქერსა და პურში—ხარვარში შვიდ მანათს უთვლის. მეტი რა ჩარა ჰქონდა? მაგრამ იმას რა აკლდებოდა? ბოლოს, რამდენიმე წლის შემდეგ (1741, 1742, 1743, 1744, 1745 წლებში) წამოუსო განაყოფებს და გლეხებს და ერთიანად გადაახდევინა თავის 75 მან. 80 კაპ. რაკი ფული არავისა ჰქონდა, სიკეთე იყო და აიღო: ქერი კოდი (უ) ორ აბაზათ, პური კოდი (ქნ) ცამეტ შაურათ, ფეტვი კოდი (უ) ორ აბაზათ.

ამას ვიდა ჩივის, 1738 წ. ასლამაზიანის (ორბელიანის) დროს სათუმანიშვილოს შეაწერეს ოთხის ნოქრის და ოთხის ჩალიკის (ნოქრების მარქაფანი) ხარჯი. რაკი ამისთანა ხარჯების აღების და ჩაბარების დროს ხელისმოთბობას ჩვეული იყო, ადგა და პირველშივე გორჯასპი მდივანმა ჩააბარა მთელი ხარჯი იმ იმედით, რომ მერე რამდენსაც მინდა ავიღებ, ჩემი მოანგარიშე ვინ იქნებაო. მაგრამ ბედმა უმუხთლა და ვეღარ აკრიფა და ვერ შეავსო თავისი გაღებული ხარჯი. ყური ვათხოვოთ ვითონ გორჯასპის თავში ცემასა; № 29 „ქ. ამ წელს ქ͞კს უკვ (1738 წ.): ასლამაზახანის დროს: რომ სათუმანისშვილოს ოთხის ნოქრისა და ოთხის ჩალიკის ხარჯი შეწერა და ზოგი მოიკრიფა და რაც დაიწვა და არ გამოვიდა, რომ მე მდივანს გიორჯასპის უნდა მამცემიყო, ამისი მაგიერი თეთრი მე დამეხარჯა ნოქარზე და ახლა ძირს არის (ე. ი. ასაღებიაო) სათუმანისშვილოზე ჩემი ალალი თეთრი:

| | | |
|---|---|---|
| „ქ: კიკოლა მახარობლისშვილზე | Ს | ზურაბისა *) (20 კაპ.) |
| „ქ: პატარა მარჯანაშვილს ბერუაზ? | ᲩᲣ | ფარსიაშვილისა (1 მან. 80 კაპ.) |
| „ქ: დოვლათასშვილზე | Რ | გოგიასია (10 კაპ.) |
| „ქ: ბეტასშვილზე | Ჩ | გოგიასია (1 მან.) |
| „ქ: ტერ-გრიქორაზე | ᲩᲡ | ელისბარისა (1 მან. 20 კაპ.) |
| „ქ: კობლესშვილზე | Უ | ელისბარისა (40 კ.) |
| „ქ: ჯიტილაზე | Უ | (40 კ.) |
| „ქ: კუტი პაპასშვილზე | Ჩ | (1 მან.) |
| „ქ: ბარხუდარაზე | Ჩ | ფარსიაშვილისა (1მ.) |
| „ქ: ტერდავითაზე | ᲩᲡ | ფარსიაშვილისა (1 მ. 20 კ.) |
| „ქ: სეხნიაშვილს გედევანზე | Ჵ | მელიქისა (5 მან.) |
| „ქ: იასე მამასახლისზე | Ნ | ჩვენია (5 კაპ.) |
| „ქ: თუშზე | Უ | დიმიტრისა (40 კაპ.) |
| „ქ: ბერიასშვილზე | Უ | ზურაბისა (40 კაპ.) |
| „ქ: პატარა მურადასშვილზე | Ქ | მიუცია (60 კაპ.) |
| „ქ: ნინიაზე | Ტ | (30 კაპ. |
| „ქ: დავითისშვილზე | Ჩ | ჩვენია (1 მან.) |
| „ქ: დინარიძე ობოლზე | Რ | მელიქისა (10 კაპ.) |
| „ქ: პაატაზე | Უ | (40 კაპ.) |
| „ქ: კვიტინაზე | ᲠᲜ | მელიქისა (15 კაპ.) |
| „ქ: ბაყალი პაპუას ბიჭზე | Ქ | ჩვენია (60 კაპ.) |
| „ქ: მელიქაზე | ᲩᲥᲜ | (1 მან. 65 კაპ.) |
| „ქ: ბირთველას ვაჟისა | ᲩᲡᲥᲔ | (1 მან. $22^1/_2$ კ.) |
| „ქ: ბეჟანასი | ᲜᲕᲔ | ($7^1/_2$ კაპ.) |

ეს „ნუხსა“ იმიტომ შემოვიტანეთ ჩვენს წერილებში, რათა მკითხველმა უკეთ დაინახოს თუმანიშვილის გორჯასპის ყოველდღიური საქმე-შრომა რასა ხმარდებოდა იმ დროს, როდესაც საქართველოს საუკეთესო ვაჟკაცნი ფარხმალში ისხდნენ, მტრის სისხლით აპოხიერებდნენ სამშობლო მიწა-წყალსა, ცოლშვილში ერთი ღამის გათევა ენატრებოდათ, სიცოცხლე ჩამწარებულთ ლუკმა-პური მუდამ აკლდათ და ბოლოს მაინც ასჯერ ძლიერის მტრის მსხვერპლნი ხდებოდნენ! აი ამ დროს გორჯასპი მდივანი გახურებულ ბუხართან ზის და ლობიოს მარცვლებით (სად იყო მაშინ ტიალი ჩოთქი!) ანგარიშობს დარჩომილს ხარჯს და „ნუხსების“ წერაში ატარებს დროს მყუდროდ თავის ცოლშვილში! ამავე დროს მებრძოლ ქართველთა ქონებას ყიზილბაშნი რომ აფორიაქებენ და იკლებენ, მოსავალს სტაცებენ და სახლკარს უბუგავენ და უნგრევენ, ვნახოთ გორჯასპი მდივანს რა შემოსავალი აქვს თავის ყმა-მამულიდგან, მოთმინება ვიქონიოთ და წავიკითხოთ გორჯასპი მდივნის მეორე „ნუხსა“ სწორედ იმავე წლისა: № 30. „ქ. ქ͞კს უკვ (1738 წ.) წრეულს: რომ: სათუმანიშვილოს გამოსავალი (ე. ი. შემოსავალი) გავაერთეთ და მოსავალი ერთათ ავიღევით და მირი (ყიზილბაშების ხარჯი) ერთათ მივეცით: ოც-და-ორი თუმანი (250 მან.

„ქ: გამოსავალის ჯამი დადგა

| | | |
|---|---|---|
| პური კოდი . . . | ᲢᲛᲜ | (348 კოდი). |
| „ქ: ქერი კოდი. . . | ᲣᲘ | (408 კ.), ლიტ. 3 |
| „ქ: ქერქელი ჯამი კოდი. | ᲚᲕ | (36 კოდი). |
| „ქ: ფეტვი კოდი . . | ᲠᲚ | (130 კოდი). |
| „ქ: ტკბილი კოკა . . | ᲝᲑ | (72 კოკა). |
| „ქ: ნაღდი. . . | ᲘᲐᲭᲤᲜᲔ | (115 მ. $55^1/_2$ კ.) |

იმ დროს კვალობაზედ ეს ამოდენა შემოსავალი ასე გაიყვეს თუმანიშვილებმა გორჯასპის მეთაურობით: „ეს ანგარიში ქრისტიშობის. იე. ვნახეთ მარტიდამ აქამის სათუმანისშვილოდამ ეს გამოსულიყო. ქ: აქადამ ვის რა რგებია მირის გვარათ:

„ქ: მელიქს აღას ერგო პური კოდი ᲛᲑ (42); ქ: ქერი კოდი ᲛᲕ (46 კოდი). ჩანახი Ბ; ფეტვი კოდი ᲘᲖᲘ „ქ: ტკბილი კოკა Თ, თუნგი Ბ; ნაღდი ერგო ა͞წსნ (14 მან. 25 კოპ.) ქ: ქერქელი კოდი Დ, ლიტრა Ბ „ქ: ყარდაშას ერგო პური კუდი ᲛᲑ; ქერი კოდი ᲛᲕ; ფეტვი კოდი ᲘᲖ, ჩანახი Ბ; ქერქელი კოდი Დ. ლიტრა Ა; „ქ: ტკბილი კოკა Თ; ნაღდი ერგო ა͞წსნ (14 მან. 25 კოპ.) ბეჟანას ერგო პური კოდი ᲘᲔ, ჩანახი Ე; ქერი კოდი ᲘᲖ; ფეტვი კოდი Ვ; ქერქელი ჩანახი ᲘᲑ; ტკბილი კოკა Გ, თუნგი Ე; ნაღდი ერგო ჰტნი (5 მან. 36 კოპ.) „ქ: ბირთველას ყმაწვილს ერგო პური კოდი ᲘᲔ, ჩანახი Ე; ქერი კოდი ᲘᲖ; ქერქელი ჩანახი ᲘᲑ; ფეტვი კოდი Ვ; ტკბილი კოკა Გ, თუნგი Ე; ნაღდი ერგო ჰტნი (5 მან. 36 კოპ.) „ქ: ბაინდურს ერგო პური კოდი ᲛᲑ; ქერი კოდი ᲛᲕ, ლიტრა Ვ; ქერქელი კოდი Დ; ღვინო კოკა Თ, თუნდგი Დ; ფეტვი კოდი ᲘᲡ; ნაღდი ერგო ა͞წტნ (14 მან. 35 კოპ.) „ქ: გორჯასპი მდივანს ერგო პური კოდი ᲜᲖ; ქერი კრდი ᲜᲘᲡ, ჩანახი Ა; ფეტვი კოდი ᲙᲑ; ქერქელი კოდი Ვ; ღვინო კოკა ᲘᲑ თუნგი Ე; ნაღდი ა͞ჰრნ (19 მან 15 კოპ.) „ქ: გიორგის ერგო პური კოდი Ო, ჩანახი Ვ, ჩარექი Ბ; ქერი კოდი ᲞᲑ, ჩანახი Ა; ქერქელი კოდი Ზ, ჩანახი Ბ; ღვინო კოკა ᲘᲔ, თუნგი Ე; ფეტვი კოკა Ლ, ჩანახი Ბ; ნაღდი ბ͞ქნლ (23 მან. 68 კოპ.)

„ქ: ინდურის მაგიარ თეთრი მიეცა, ამის, წილით ერგო—პატარ კაცს ერგო პური კოდი ᲜᲖ; ქერი კოდი ᲜᲘᲡ, ჩანახი Ა; ფეტვი კოდი ᲙᲑ; ქერქელი კოდი Ვ; ტკბილი კოკა ᲘᲑ; ლიტრა Ე; ნაღდი ერგო ა͞ჰრნ (19 მან. 15 კოპ.) ამ გაყოფილს გარდა რაც დღევანდლამდის არ აღებულიყო დარჩომილი ღალა ქერი კოდი Მ, ქერქელი კოდი ᲘᲓ, ლიტრა Ბ—ეს თუ გამოვიდა, გასაყოფი არის“.

პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

1) იხ. „ივერია № 102,

2) ამ ცნობით მტყუნდება თქმა, ვითომც ძველ დროში თუმანი სამი მანეთი იყო; როგორც ეხლა, მაშინაც თუმანი ათს მანათს უდრიდა.

*) მდივნის გორჯასპის სახლიკაცების სახელებია—ასე ჩაყოლებაზე. გარეთა პირზედ აწერია: „ქ. პირველათ რომ სათუმანისშვილოს ნოქრის თეთრი შეწერა, იმ შეწერილისა ვიზედაც რამ დარჩომილა, რომ აღარა გამოვიდარა, იმისი ნუხსა“.

## ჩვენებური ამბები

**პანკისის ხეობა** (თიანეთის მაზრა). ამ თვის 3—8 გადაუღებლივ თოვდა, ასე რომ ამ ხნის განმავლობაში მზის თვალი არ დაგვინახავს; შემდგომ ჯადიდარა, მოიწმინდა ცამ და ისეთი ყინვები დადგა, რომ, როგორც იტყვიან ხოლმე, ქვასა ჰხეთქავდა. ამან ძრიელ შეაშინა მცხოვრებლები. ისე გაძვირდა საჭმელი საქონლისა, რომ ხალხმა აღარ იცის, რა ჰქნას. აქ რომ ვეღარ შოვობენ, კახეთის სოფლებში მიდიან სასყიდლად, მაგრამ, როგორც ამბავი მოაქვთ, იქაც ურემი ბზე 10 მ., ფუჩეჩის კონა 10 კ. გამხდარა და თივა ხომ მაინც არც იქ არის საშოვარი. ფიქრობენ, მთავრობასა სთხოვონ, რომ ხის კენწეროს ნება მაინც მისცენ საქონლისათვის მოსაკაფად. ეს ხუთიოდე დღეა, რაც ისე აღარა ჰყინავს. აქეთ ყივანახველა ისევა მძვინვარებს და ბავშვებს შესამჩნევად აზარალებს, მაგრამ საშველი ჩვენთვის მაინც არ არის.

ქისტი ჩობანი.

—

**ვარციხე** (ქუთაისის მაზრა). აქაური მცხოვრებნი. ყველანი ეჩქარობდნენ რთველის მიწევას, რომ შემდეგ შესდგომოდნენ მიწის გადაბრუნებას, დასარგავათ ამერიკულ ვაზზედ დამყნილ ვენახისა, წარსულ წლების კარგი ამინდის მაგალითისამებრ. ამ კეთილ განზრახვას გამუდმებულმა წვიმებმა და თოვლმა შესამჩნევად შეუშალა ხელი, ამის გამო მშრომელნი გულ-ხელ დაკრეფილი სხედან სახლებში და გულის ფანცქალით შესცქერიან გამოამინდებას. ვისაც საკუთარი ვენახის სანერგე არა აქვს, ყიდულობენ ვენახის დამყნილს ნერგებს,—ათას ცალს 75—100 მანეთამდე. და თუ ცუდმა ამინდმა ასე გასტანა და ვერ მოასწრეს მიწის გადაარუნება, მაშინ დიდ ზარალს ნახავს მცხოვრები რადგან ნამყენი შემოდგომითვე შეძენილი აქვთ. ვინც ვენახის გაშენებას მიზდევს, ის სიმინდს ცოტას სთესავს ამის გამო სიმინდის ფასმაც აიწია, ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 70—75 კაპიკამდე.

ჩვენში საქონლის საკვები ჩალა მეტად გაძვირდა: 100 კონა, რომელიც წარსულ წლებში იყიდებოდა 1 მან. 50 კაპ—2 მანეთამდე, ეხლა ფასობს 5—7 მანეთამდე. ამისგამო ზოგიერთი მეპატრონე იძულებულია თავიანთი მსხვილ ფეხი საქონელი ნახევარ ფასად დაუთმოს მსურველს. ამ საკვების სივიწროვეს საუბედუროდ თან დაემატა საქონლის სნეულება თურქული. ამ სნეულებამ ს. ვარციხეში ბევრი საქონელი დახოცა და ბევრიცაა ავათ. ამ სნეულებას შინაურულად სწამლობენ სოფლის ექიმბაშები. ჩემის ფიქრით, ამთ წამლობას ზარალის მეტი არა მოაქვს-რა.

როგორც დანამდვილებით ხმაა გავრელებული, ს. ხანში, მდ. ლაშურას ორივე მხრიდგან კლდეები ჩამოწოლილა, სივრცით ერთ ვერსამდე, ამის გამო წყალი ლაშურა სრულებით შემდგარა, ჯერ-ჯერობით სიღრმით აუხწევია 20 საჟენამდე.

ვარციხელი.

—

### ქიზიყის ამ-ბარბი

(დასასრული *)

ბ-ნი „აქაური“ სწერს: უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ერთი არ არის მთელს ქიზიყშიო. თუნდა სხვები, ქიზიყის გარდა მყოფნი (სამსახურში თუ უნივერსიტეტში) არ გავიხსენოთ, მაინც ქიზიყში ახლაც არიან უმაღლეს სწავლა მიღებულნი: ქიზიყის ხალხმა შეიგნო საჭიროება საავადმყოფოს დაარსებისა და დააარსა კიდეც ორ დიდ სოფელში: მაჩხაანსა და ანაგაში, რომელთაც ჰყავთ საკუთარი ექიმები—უმაღლეს სწავლა მიღებულნი. გარდა ამისა, ერთ ქიზიყის უდიდეს სოფელში, ბოდბის-ხევში, არის მღვდლად ისტორიკოსი დიმიტრი ჯანაშვილი, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლა დამთავრებული. ამათ გარდა, შეიძლება კიდევ სხვებიც იყვნენ უმაღლეს სწავლა მიღებულნი ქიზიყში, მაგალითად თავადობაში, უსამსახუროდ მცხოვრებნი, როგორც შეძლებულნი კაცნი.

ქიზიყის ბევრ სოფელს ჰყავს მოძღვრები სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებული. სასულიერო სემინარია აძლევს საკმარის ცოდნას, როგორც ღვთის მეტყველებაში, აგრედვე სხვა საგნებშიაც, ასე რომ სემინარიელ მღვდელს საშუალება აქვს რიგიანად იმოქმედოს თავის სამწყსოში. იშვიათი არ არის ისეთი მღვდელი, რომელსაც სწავლა სემინარიაში თუმცა არ შეუსრულებია, მაგრამ გამოცდილებით, პატიოსნებით და თავის შრომით შეძენილ ცოდნით, ურიგოდ არ ემსახურება მრევლს. ასეთ კაცებს კურსიც რომ შაესრულებინათ სემინარიაში, თვალ-საჩინოდ იმოქმედებდნენ.

საზოგადოდ ჩვენ აქ ულაგოდ მიგვაჩნია შევეხოთ ქიზიყის მღვდლების მოქმედებას, რომელთაც ბ-ნი „აქაური“ ცუდად იხსენიებდა. მოვაგონებთ შენიშვნის დამწერს შემდეგს: „აჩქარებითა სოფელი არვის აუშენებია“, „ზოგჯერ კაი მთქმელს კაი გამგონეც უნდა“, ზოგი-ერთი სკოლიდან დათხოვნილი ან გამოსული, რომელიც სოფლად, ხალხში, სცხოვრობს, თავის ყოფაქცევით კარგ მაგალითს ვერ აძლევს ქიზიყელებს: ერთი რომ მარხვას არ ინახავდეს (ისიც დიდ-მარხვას), მეორე წირვაზე არ დაიარება, მესამე მოძღვარს პატივისცემით არ ეპყრობა და სხვა. გლეხი კაცი ჰფიქრობს: ესა-და-ის ხომ სასწავლებელში იყო,—რატომ ქრისტიანობა, ზნე-ჩვეულება, მტკიცედ არ უკავიაო, ნუ-თუ სჯული მარტო გაუნათლებელ გლეხისათვის არის მოცემულიო? მოძღვარს ეს გარემოება არ მისცემს ას-ე-თუ-ისე დაბრკოლებას? მის მაგიერ, რომ მღვდელს ხელს უწყობდეს სასწავლებელში მყოფი, ხშირად ზოგი დაბრკოლებასაც აძლევს.

შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად მოვიყვანოთ თვით ბ-ნ „აქაურს“, რომელიც გაზეთით უპატიოდ იხსენიებდა ქიზიყის მოძღვართ შემდეგის სიტყვებით: „ხალხის განათლება იმდენად სწადიანთ, რამდენადაც წყალში ჩავარდნილის დახრჩობა. იყავ სრული, ვითარცა ღმერთიო, უთხრა ქრისტემ ხალხს და მოძღვართ, მაგრამ ესენი სრულნი არიან სხვაფრივ. აქ გამეფებულია ლოთობა“ და სხვა. განა კარგად იქცევა ბ-ნი „აქაური“, რომ ხმარობს ამგვარ სიტყვებს მოძღვართა მიმართ? ან რა სარგებლობა მოაქვს ამ სიტყვებით? სარგებლობა-კი არა, ამით ვნებას აძლევს საქმეს და ხალხს: რომლისამე გაზეთის მკითხველის საშუალებით სოფელში ხმა გავა, აი, რა ცუდი რამ წერებულა ჩვენს მღვდლებზედო. ამით ხომ დამცირდა პატივი მოძღვართა მიმართ მრევლში! ხომ უფრო დააკლდება გასავალი მწყემსის სიტყვას მრევლში!?

ბ-ნი „აქაური“ ქიზიყელებს ძალიან ცუდად იხსენიებს ზნეობრივის მხრივ. ამასთან არავითარის საბუთით არ ამტკიცებს თავის აზრს (რადგან საბუთები არც-კი მოყავს). გარდა ამისა, აქვს თუ არა ამ ხალხს კარგი თვისებანი, ამაზე ხმას არ იღებს. ამიტომ უცხო წამკითხველი მისის ამბისა ქიზიყელებს ჩასთვლის ყოვლად დაცემულ ხალხად.

ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნდა სიმართლის აღსადგენად რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ ამ საგნის შესახებ.—საზოგადოდ თუ ვიტყვით, ყველა ხალხის ზნე-ჩვეულებაში რაიმე ნაკლულევანება არის, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ქიზიყელებსაც ემჩნეოდეს რაიმე ცუდი ზნე. შესამჩნევი ნაკლულევანება ხალხისა არის ლანძღვა-გინების ხმარება ლაპარაკისა და კამათის დროს, უზრდელი ქცევა, სიკერპე, სიკაპასე, ჩხუბის კილოთი ლაპარაკი და ბაასი დედა-კაცებისა და კაცებისა. მაგრამ ამ ბოლოს დროს ეს ნაკლულევანება მცირდება. ახლანდელს დროში ცოტა არ არის ქიზიყის სოფლებში ისეთი გლეხკაცის სახლობანიც, რომელნიც ზრდილობით და განათლებით, საზოგადოდ, არ ჩამოუვარდებიან ზოგი-ერთ აზნაურთ სახლობათა. ქიზიყის უმეტესი გლეხობა სახემწიფო იყო და ბატონყმობის უღელი არა სდგმიათ კისერზე, ამიტომ გაუნათლებელი მდაბიო ხალხი წაქეზებული თავისუფლებით შეიქმნა ამაყი სიტყვით და ქცევით. ეს, მართალია, ნაკლია, მაგრამ არც ისეთი, რომ ამისათვის ცუდად მოეიხსენიოთ ქიზიყელები, მით უმეტეს, როცა ღირსებაც ცოტა არა აქვთ:

შრომის მოყვარეობა, თავის-წმინდად დაცვა (ცოლ-ქმართ ერთგულობა; მრუშობა აქ თითქმის არ არის, ან იშვიათი მოვლენაა),—მამაცობა, მხნეობა, პურ-მარილობა, მეგობრობა, ნდობა ერთმანეთისა და სხვ. ქრისტიანობისა და სამშობლოს სიყვარულში ჩვენი სხვებს არ დაუვარდებიან.

ბ-ნი „აქაური“ ამბობს, ქიზიყში გამეფებულა ლოთობა, კაცის კვლა და სხვაო. კაცის კვლა ქიზიყში იშვიათი მოვლენაა; ქართლ-კახეთ იმერეთზე ხშირად არა ხდება მაინც აქ. მთელის წლის განმავლობაში, თებერვლიდგან ნოემბრამდის, ხალხი ისეა ჯაფაცებული მუშაობით მინდორ-კალო-ვენახებში, წისქვილსა და ტყეში, რომ არც-კი სცალიანთ სიმთვრალეს მიეცნენ. ერთად-ერთი დრო მხიარულებისა, დროს-გატარებისა, არის შემოდგომის გასულს და ზამთარში, როდესაც ქორწილებია, და აგრედვე საეკკლესიო დღეობანი. ასეთ დღეებში ღვინით მხიარულებენ არამც თუ ქიზიყელები, ამათზე განათლებულნი ევროპიელნიც დიდს საუნივერსიტეტო ქალაქებში. ამ დროს, მართალია, ზოგი უზომოდ სვამს ღვინოს და ითვრება, მაგრამ ეს გარემოება მარტო ქიზიყში-კი არა, მთელს საქართველოს, სომხეთს და სხვა ქვეყნებშიაც არის. ეს თვისებაც ზოგიერთების კუთვნილებაა და ისიც ამხანაგებში გართობის დროს, და არა მთელის ხალხისა.

ხალხის ზნე-ჩვეულებათა განვითარება, სი-

*) იხ. „ივერია“ № 25.

ტყვიერის ქადაგების, დარიგების, გარდა მოძღვართა და მასწავლებლებისა, შეუძლიან უფრო საფუძვლიანად ბავშვთა აკვნიდამვე აღზრდას. პირველნი მასწავლებელნი ახალ-თაობისა არიან დედ-მამა, უფრო-კი მშობელი დედა. ამ ბოლოს დროს ქიზიყელებს მიეცათ ღონის-ძება კარგის დედების აღზრდისა. ეს ღონისძიებაა სკოლები.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ გვარ საქმის გაკეთებას, ზნე-ჩვეულების გაწმენდას დიდი-დრო უნდა. თუ-კი ამ ოც წელიწადში ქიზიყს შეეტყო წინ-სვლა განათლებაში, იმედია, მომავალშიაც წინ გადადგავს ნაბიჯს და არ ჩამორჩება საქართველოს სხვა მხარეებს.

ქიზიყელი აფხაზეთში.

# რუსეთი

6 თებერვალს დანიშნულია რუსეთის რკინის გზის წარმომადგენელთა სატარიფო კონგრესი.

— ამ დღეებში პეტერბურგში მისულან ჩეხიის, ბოჰემიის, მორავიის და სილეზიის მსხვილ სავაჭრო ფირმათა წარმომადგენელნი, რომელთაც აზრადა აქვთ თავიანთ ქვეყნებში ბაზარი მოუპოვონ რუსეთის ნაწარმოებთ.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო, მინისტრის ამხანაგის ზინოვიევის თავმჯდომარეობით, შეუდგა საბეითალო და სასანიტარო კანონის გადასინჯვას.

— რკინის გზის ელექტრო-ტეხნიკოსთა და ტელეგრაფის მართველობის წარმომადგენელთ წარუდგენია განსახილველად პროექტი რკინის გზისა და პასაჟირთა ვაგონების ელექტრონით განათების შესახებ.

— როგორც „Пет. Вѣд.“ იუწყება, პეტერბურგში 30 ათასამდე მათხოვარი ყოფილა.

უწ. სინოდს განუზრახავს სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის სამკურნალო სადგურების დაარსება სხვა-და-სხვა ადგილებში. პირველად სანატორიას ააგებენ შავი ზღვის პირად.

— რუსეთის მთავრობას განუზრახავს სავოსტო საქმე პეტერბურგსა და მოსკოვში ისე მოაწყოს, როგორც ბერლინშია; საქმის შესასწავლად ბერლინში კაცი გაუგზავნია.

საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის საბჭოს დაუდგენია სახუროთ-მოძღვრო განყოფილებაზე ქალებიც მიიღონ.

# უცხოეთი

**ინგლისი.** „ჟურნ. დებატ.“-ის ლონდონელი კორესპონდენტი აღნიშნავს ლონდონის საზოგადოებისა და მთელი ინგლისის მაჯის ცემას ვენესუელის საქმის შესახებ.

„ინგლისის მთავრობის დამცირება, თუ ამადლება ინგლისის ხალხის წინაშე იმაზეა დამოკიდებული,—თუ, როგორ გადაწყდება ვენესუელას საქმე, რომელიც ვაშინგტონში უნდა გაირჩეს. როცა მოლაპარაკებას რაიმე ელობება წინ, ინგლისელები მეტად გაჯავრებულნი არიან და სამინისტროს მით სახელი უტყდება. კრანბორნის და ჩემბერლენის მიერ წარმოთქმული სიტყვა ვერავის ვერ დაარწმუნებს, საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებს მთავრობის სიბრძნეს და მის მტრის მჭვრეტელობის.

კრანბორნი და ჩემბერლენი ირწმუნებოდნენ, არავითარი კავშირი არ სუფევს ინგლისსა და გერმანიას შორისაო, არის მხოლოდ შეთანხმება ორ სახელმწიფოთა შორის ერთი აზრის მისაღწევადო; მათ არ დაუფარავთ, რომ ამგვარი ერთად მოქმედება არავითარ თახაგრძნობას არ იწვევს ინგლისელთა შორისო.

მაგრამ ინგლისელები აღელვა იმ გარემოებამ, რომ მეერთებული-შტატები წინააღმდეგ მოქმედობენ ინგლისისა და გერმანიისა, რასაც, ვინ იცის, რა უბედურება მოჰყვებაო.

**სამხრეთ-აფრიკა.** ტრანსვაალის ოქროს მადნეულებს სულ აძლევდათ 94,000,000 გირ. სტერლინგი ოქრო. ოქროს მადნის მწარმოებელ საზოგადოებას ომის დროს ყოველ თვეში 120,000 გირ. სტერლინგი ზარალი ჰქონიათ. მუშა-ხელი ახლაც ძლიერ ნაკლები ყოფილა თურმე. მადნეულებში 12,000 ნეგრი მუშაობს, თეთრ კაცთა ხელი ძლიერ ცოტა ყოფილა.

**მაკედონია.** ოსმალეთის მოხელეთა ადგილობრივ წახდენილობა და სიმხეცე უმაღლეს საფეხურზედ ავიდა. სულ ცოტა ხანია, რაც 4,000 კაცი დაუტყვევებიათ. ზოგიერთებს ფულით და ქრთამით განუთავისუფლებიათ თავი. ციხეები გაივსო დატყვევებულ ქრისტიანებით. ამბობენ სულთანის მახლობელი კაცები ფაქტებს ამახინჯებენ და სულთანის ყურამდე არ მიდის ის შემაძრწუნებელი ამბები, რაიც მაკედონიაში ხდებაო.

**ჩინეთი.** ჩინეთის მცოდნე პირები წინასწარმეტყველობენ—დიდი აჯანყება უნდა მოხდეს ჩინეთის იმპერიაშიო. დოქტორი გოლდმანი, რომელიც ოცი წელია ჩინეთის სასახლის ექიმი ყოფილა, შემდეგს ამბობს „Standard“-ის ფურცლებზედ: მეორე უარესი ამბოხება ჩინეთში აუცილებელია. ეს ამბოხება ბოქსერების ამბოხებაზედ უსასტიკესი იქნებაო. უცხოელებს პეკინში დამცველებად არავინ არ ეყოლებათ. უველაზედ უწინ ამერიკის საელჩოს გაანადგურებენ. შემდეგ ისეთის სისასტიკით შეუდგებიან უცხოელებისა და შინაურების ამოჟლეტას, რომ თავის სიმხეცით ქვეყანას გააშტერებენო. ყველაფერი ეს ამერიკის ბრალი იქნება, რომელიც გადუდგა ევროპის სახელმწიფოებს და მათთან ერთად არ დაიცვა ჩინეთში საერთო ინტერესებიო.

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი

„ალლუმი“ კომ. 4 მოქ. ვ. გუნიასი.

ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძის ბენეფისი.

თუმცა მთელმა საზოგადოებამ იცოდა, „ალლუმი“ ბევრი არაფერი შვილია და მისი წარმოდგენა ქართულ თეატრში სრულიად მოწყენილოა, მაგრამ საზოგადოება მრავლად დაესწრო ხუთშაბათის წარმოდგენას, რადგან ამით უნდოდა პატივი ეცა თავის ნიჭიერ და დამსახურებულ მსახიობ ქალის—საფაროვ-აბაშიძისათვის.

ახლა თუ არა ფარდა, ყოველ კუთხიდგან გაისმა „ვაშას“ ძახილი და ტაშის ცემას ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა. ლოჟებიდგან და ქანდარიდგან თოვლივით მიდიოდა პარტერისა და სცენისაკენ ფურცლები ზედ წარწერით: „ხელოვანი იმას ჰქვიან, უნახავად შეჰქმნას რამე“.

როგორც იყო, შესწყდა ტაშის ცემა და ვაშას ძახილი და დაიწყო წარმოდგენა.

საზოგადოდ, მთელმა წარმოდგენამ მკრთალად ჩაიარა. მსახიობთ, თითქმის ყველას, ძალდატანება ეტყობოდათ. თვითეულის მოძრაობა იყო ნელი და არა აწონილი, სიტყვა-კი მაყურებლის გულს არა სწვდებოდა და სულ უმნიშვნელოდ იკარგებოდა სცენაზედვე.

თვით მობენეფისე (ნუცა), რომლის თამაშობის შესახებაც თითქმის ლეგენდარული გადმოცემები მომესმინა, არ იყო მომჯადოვებელი და დამატყვებელი მაყურებლისა, თუმცა მაინც ყველაზედ მაღლა იდგა თავის თამაშით.

ამ საღამოს ჩვენ ვხედავდით ძლიერის ნიჭის პატრონს, რომელმაც ხანში შესულობის დროსაც-კი შესძლო ახალგაზრდა ქალის როლის თამაშობა და დასძლია კიდეც ეს როლი იმდენად, რომ ახალ-გაზრდანი ვერც-კი შეედრებოდნენ. ადგილ-ადგილ მსახიობ-ქალის თამაშობა იყო მეტად ხელოვნური და, მართლაც, დამატყვევებელი, მაგრამ სხვა ადგილას თავის თამაშით მსახიობი-ქალი თითქოს აქარწყლებდა პირველს შთაბეჭდილებას...

მეტად ვწუხვართ, რომ ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა ყოველ თვეში ერთხელ მაინც არ ეჩვენება ხოლმე სცენაზედ საზოგადოებას, რომელსაც ნამდვილად უყვარს იგი და პატივსაც სცემს.

დანარჩენს მოთამაშეებს დ. აწყურელი (დევანი) სჯობდა, რომელმაც ბოლომდე ცოცხლად გაატარა ნაკისრი როლი.

გ. აბაშიძემ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სიცოცხლე შეიტანა თავის როლში, მაგრამ რა ჰქმნას მსახიობმა, როდესაც მარტო ერთი სიტყვა „ვითარცა“ იმდენჯერ უნდა სთქვას, რამდენჯერაც სამს „დაბადებაშიც“ არ არის.

მობენეფისე-საყვარელ მსახიობ-ქალს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

კომედიის შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ოპერის მომღერლებმა: ქ-ნმა გამინსკისამ და არციბაშევისამ და ბ-ნმა ტომაშევიჩმა; მონაწილეობა მიიღო აგრეთვე თ. ი. ბარათაშვილმა; აკომპანიატორად იყო ხაჭიური დოსტარა ოპერასა ბ-ნი შტეინბერგი. რაღა თქმა უნდა, უკლდა მომღერალისაგან მშვენიერად იყო აღსრულებული რომანსები— და ამ განყოფილებამ ძლიერი შთაბეჭდილებაც იქონია დამსწრე საზოგადოებაზედ. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამ ჩვენთვის უცხო მსახიობებმა პატივი სცეს ჩვენის სცენის დამსახურებულ მსახიობ—ქალს და უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა მის ბენეფისში. მით უფრო საყურადღებოა ეს მოქმედება, რომ იგივე მომღერალნი და ბ-ნი შტეინბერგი იმავე საღამოს გრუზინსკი „ოტელლოში“ იღებდნენ მონაწილეობას. საზოგადოება მსახიობთ ოვაციებით მიეგება, განსაკუთრებით ქ-ნ გამინსკისას. არციბაშევისას და გამინსკისას მობენეფისემ მიართვა თაიგულები.

ა—ნა.

# ბიბლიოგრაფია

Программа для собиранія этнографическихъ предметовъ. 1902 г.

პეტერბურგს არის მუზეუმი იმპერატორის ალექსანდრე III-ისა. ამ მუზეუმთან იმართება საეთნოგრაფიო განყოფილება. ამ განყოფილების ხელმძღვანელთ ჰსურთ, რაც შეიძლება, კარგად, მარჯვმით შეასრულონ ნაკისრი მოვალეობა და ამიტომ რუსეთის ყველა ჟურნალ-გაზეთებს, მეცნიერთ, სწავლულთ, მასწავლებელთ უგზავნიან თავიანთ პროგრამას და სთხოვენ წარუგზავნონ საეთნოგრაფიო მასალა დანიშნულებისამებრ. უნდა აიწეროს და, თუ შეიძლება, დაიხატოს.

1. შენობანი: სახლი, საყდარი, გომური, ბაგი, სასათვლავო, წისქვილი, ფანჯარა შენობისა, კარი, კარ-მიდამო, კერა, სახლის მოწყობილობა, ჭურჭელი, იარაღი.

2. სამოსელი და სამკაული: კაცისა, ქალისა, ყმაწვილისა.

3. შემუშავება ქვისა: ქვის ჭურჭელი, იარაღი. ვინ აკეთებს, სად, რა და რა გვარის ქვით.

4. რქისა და ძვლის შემუშავება.

5. ხის შემუშავება.

6. ტყავის გამოქნა.

7. მადნეულობის შემუშავება.

8. თიხის შემუშავება.

9. შემუშავება განაფეულისა და მატყლეულისა.

10. საჭმელ-სასმელი, მისი მომზადება. საღღესასწაულო საჭმელები. აღკრძალული საჭმელები. სასმელები.

11. ხელოსნობა, მუშაობა, ნადირობა, მეფუტკრეობა, მეღვინეობა. მოვლა საქონლისა, მწყემსობა, ხვნა-თესვა.

12. კერა: შობა. ნათლობა. აღზრდა ყმაწვილის. ცხოვრება ქორწინებამდე. ქორწინება.

13. გასართობი: სათამაშო (ჩვილთა, ჭაბუკთა, ვაჟკაცთა).

14. სიკვდილი და დასაფლავება.

15. ცრუმორწმუნეობანი.

16. სახალხო მკურნალობა.

17. ზეპირ თქმულებანი: ზღაპრები, ლეგენდები, გადმოცემანი, ანდაზები, გამოცანანი, სიმღერანი და სხვა.

—

ჩვენი ქვეყანა ყველა ამით ფრიად მდიდარია და, იმედია, აქედგან ბევრს ცნობას მიაწვდიან ხსენებულს მუზეუმს. სოფლად ბევრი დიდკაცობა გვყავს, მღვდლები და მასწავლებელნი; ამათ თუ მოინდომეს, ადვილად, და ღირსეულადაც, შეასრულებენ პეტერბურგის ალექსანდრე III-ის მუზეუმის განყოფილების მოთხოვნილებას.

მ. ჯ.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

**ქუთაისი.** საბჭოს თავმჯდომარედ 119 ხმით 64 წინააღმდეგ არჩეულ იქმნა გიორგი ზდანოვიჩი, რომელსაც მიეგებნენ დიდის ტაშის ცემით და აღტაცებულის ვაშას ძახილით. ზდანოვიჩი ხელში აყვანილი ეტლამდე მიაცილეს. ანდრია ერისთავი გაშავდა; მიიღო 84 თეთრი და 99 შავი კენჭი. საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი ხვალ იქნება.

—

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 იანვარი.

**პიახტა.** გამოვიდა პირველი №-რი გამოცემულის გაზეთის „ბაიკალისა“.

**ბელგრადი.** მეფე და დედოფალი იყვნენ კრუშედოლის მონასტერში.

**კიევი.** გარდაიცვალა უნივერსიტეტის პროფესორი დუში.

**სტამბოლი.** სტამბოლსა და სოფიას შორის აზრთა მიწვდის გამო ბოლგარიის სადიპლომატო აგენტმა პორტას წარუდგინა ახალი საბუთები სამშვიდობო ხასიათისა. აქაურს საეკლესიო წრეებში ამბობენ, ბოლგარიის საეკლესიო განხეთქილების მოსპობის საქმე წინ წამოყენებულია და ამის შესახებ დაწყებულია მოლაპარაკება, გარნა არც მსოფლიო პატრიარქს და არც ბოლგარიის ექსარხოსს ამის შესახებ არა უთქვამთ-რა.

**სოფია.** ისმის, მთავრობას, მაკედონელთა აგიტაციის გამო, სამხედრო წესი შემოუღია რამდენიმე მაზრაში. საშინაო საქმეთა მინისტრი დაბრუნდა მაკედონიის საზღვრიდამ. მთავრობის წრეებში მშვიდობიან თვალით უყურებენ მაკედონელთა საქმეს.

**პარიჟი.** საშინაო საქმეთა სამინისტრო უსაფუძვლოდ სთვლის ხმას, ვითომ აბაშეთიდგან უნდა გამოიწვიონ ლაგრდეო.

**ჟენევა** მეფემ აცნობა დაშენადს სამართლის დადგენილება განქორწინების შესახებ. დადგენილება შესაფერია პრინცესა ლუიზას მთლიდინისა, რომელმაც აცნობა, ითვითხოვ განქორწინებასო.

**ვაშინგტონი.** სამს სახელმწიფოს წარმომადგენელთა და ბოუენს შორის მოლაპარაკება, როგორც სჩანს, კარგად ეწყობა. ყოველი სახელმწიფო მოილაპარაკებს ცალკ-ცალკე მუხლების შესახებ.

**პეტერბურგი.** 29 იანვარს იყო ბენეფისი სლავინისა, მის 25 წლის სამსახურის გამო. პატივი სცეს და წარმოდგენას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი და მთავრიანნი.

31 იანვარი.

**ირკუტსკი.** სამეურნეო კომიტეტის კრება დასრულდა; დაადგინეს იშუამდგომლონ ეროვნის შემოღების შესახებ, მთავრობის დაწესებულებათა შენახვა თითონ ხაზინამ იკისროს და სხ.

**გროდნო.** საგუბერნიო კომიტეტის უმთავრესი დადგენილებანი: დაარსება საშუალო აგრონომიული და რამდენიმე დაბალი სამეურნეო მესამე და მეორე ხარისხის სასწავლებლისა, მთავრობის ხარჯით დაზღვევა ქონებისა, მთავრობისავე ხარჯით გაშრობა ჭაობებისა, საგლეხო ქონების მოწესრიგება, ზოგიერთი სოფლის უქმეების მოსპობა, ან-და მათი კვირას გადატანა და სხ.

**ვენა.** ჰერცოგინია ტორკანსკისა ორი ქალით ზალცბურგს გაემგზავრა.

**პარიჟი.** გუშინწინ ემბერის საქმის გარჩევის დროს, ემბერმა სასტიკად გალანძღა იუსტიციის მინისტრი ვალე; არც ნაციონალისტთა გაზეთებს დაუკლია ლანძღვა-გინება იუსტიციის მინისტრისათვის.

**ლონდონი** სახელმწიფონი თანახმა გახდნენ ხელი მოაწერონ ერთად ბოუენთან წარდგენილ ოქმებს. ოქმებში სწერია, რომ სახელმწიფოთა მოთხოვნილებანი სამედიატორო სამართალმა მათ დაუსწრებლად უნდა განიხილოსო. გერმანიას, ინგლისსა და იტალიას ჰსურს რომ სამედიატორო სამართალში ეს სამი სახელმწიფო ერთ სახელმწიფოდ მიიღოს.

**პეტერბურგის ბირჟა,** 28 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში ,, | 46,27½ |
| პარიჟში ,, | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98 მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 101 გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 95 მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 460 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 371 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 308½ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, | — |
| „კასპიის ამხანაგობისა. | 4225 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 191 გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

### გ) ბაქოდგან გამოდის:

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### დ) ქუთაისიდგან გამოდის:

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდგან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

**სასამართლოს შესახები ცნობანი.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 1 თებერვალს განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) დავა პეტრე ჯამკაშიასი და გუსტავ პოლარისა.

2) დავა გრიგოლ დემეტრაშვილისა და ივანე არუთინოვისა.


# განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

## ტფილისის ქალაქის გამგეობისგან.

**ტფილისის ქალქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 11 თებერვალს ამა წლისას, დილის 12 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემად მნაცაკანოვის ხიდზედ ეტლების გავლისათვის ასაღებ შემოსავლისა და აგრეთვე სხვილ-ფეხისა და წვრილ-ფეხის საქონლის ზედ გავლისათვის შემოსავლისაც. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ საქმის დღეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ვაჭრობაში მონაწილეთ, სულ ერთია, პირადად მიიღებენ მონაწილეობას, თუ დაბეჭდილ განცხადების გამოგზავნით, უნდა წარმოადგინონ გირაოდ 1500 მ.

დაბეჭდილი განცხადებანი მიიღება მხოლოდ 11 თებერვალს შუადღემდე.

(2—6—1)

## ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით და ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა. 6—5.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი